

სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: მეტეოროლოგია-კლიმატოლოგია
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: გეოგრაფიის დოქტორი, PhD in Geography
სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი კახაბერ ბილაშვილი
სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

მიზანი: სადოქტორო პროგრამა ითვალისწინებს დოქტორანტების მომზადებას მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევების საფუძველზე. მეტეოროლოგია-კლიმატოლოგიის დოქტორანტების მომზადების აუცილებლობას განსაზღვრავს ის გარემოება, რომ მეტეოროლოგია-კლიმატოლოგიის სფერო ქვეყნის უსაფრთხოებისა და მდგრადი განვითარების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. პროგრამის მიზანია მოამზადოს მეცნიერ-მკვლევარი, რომელიც შეისწავლის ატმოსფეროში მიმდინარე მეტეოროლოგიურ პროცესებს, მის გავლენას და ზემოქმედებას გეოგრაფიულ გარემოზე.

შედეგი: წარმოდგენილი პროგრამით მომზადებულ დოქტორს ექნება თეორიული და პრაქტიკული ცოდნა შემდეგი ამოცანების გადასაწყვეტად:

- **შეისწავლოს** ატმოსფეროში მიმდინარე მეტეოროლოგიური პროცესები და განახორციელოს მათი ანალიზი;
- **მოახდინოს** ატმოსფეროში მიმდინარე ეკოლოგიური ცვლილებების შეფასება და პროგნოზი;
- **შეაფასოს** კლიმატი და კლიმატური რესურსები, როგორც რეკრეაციული და ენერჯის განახლებადი წყარო, რაც მდგრადი განვითარების ერთ-ერთი განუყოფელი კომპონენტია;
- **შემლოს** მიღებული შედეგების ეფექტური პოპულარიზაცია პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებსა და მოსახლეობის ფართო წრეებს შორის;
- **მოახდინოს** სამეცნიერო და პრაქტიკული პრობლემების გლობალურ, რეგიონალურ და ლოკალურ დონეზე წარმოჩენა;
- **შექმნას** და დამუშაოს მონაცემთა ბაზა და შექმნას მიღებული შედეგების ამსახველი კარტოგრაფიული მასალა.

კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები.

სამეცნიერო კვლევითი ცენტრები და საგანმანათლებლო სექტორი, საპროექტო-სამშენებლო ორგანიზაციები, სოფლის მეურნეობის, მშენებლობისა და გარემოს მონიტორინგის სამსახურები, რეკრეაციული სფერო, რეგიონალური და საერთაშორისო ეკოლოგიური პროგრამები, პროექტები და ორგანიზაციები; საზოგადოებრივი ჯანდაცვის ობიექტები და სხვ.

სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები:

მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი ზუსტ და საბუნებისმეტყველო, გეოგრაფიის, საინჟინრო, აგრარულ მეცნიერებებში და სხვა მომიჯნავე სფეროებში.

სასწავლო კომპონენტი:

| | საგნის დასახელება | სტატუსი | კრედიტების რაოდენობა | სემესტრი |
|---|--------------------------------|-------------|----------------------|----------|
| 1 | სწავლების თანამედროვე მეთოდები | სავალდებულო | 5 | II |
| 2 | დოქტორანტის I კოლოკვიუმი | სავალდებულო | 10 | I |
| 3 | დოქტორანტის II კოლოკვიუმი | სავალდებულო | 10 | II |
| 4 | პროფესორის ასისტენტობა | სავალდებულო | 25 | II |
| 5 | არჩევითი კურსი | | 10 | |

დოქტორანტს სემესტრის განმავლობაში ორჯერ ჩაუტარდება ინდივიდუალური კოლოკვიუმი (დარგში თანამედროვე სამეცნიერო და მეთოდური ლიტერატურის დამუშავება სადისერტაციო ნაშრომის თემასთან კავშირში, ან/და კონკრეტული ეტაპისთვის არსებული კვლევითი მასალა).

- ნაშრომი შეფასდება 50 ქულით:
- 10 ქულა თემის აქტუალობის წარმოჩენა
 - 20 ქულა კვლევითი თემატიკის წარმოჩენა
 - 20 ქულა თემის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების გამოკვეთა.

სამეცნიერო კვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

სადოქტორო პროგრამა განხორციელდება ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის არსებული ლაბორატორიების ბაზაზე.

ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე, შესაძლებელია 2 დოქტორანტის მიღება.